დამტკიცებულია: სსიპ - კოლეჯის „ოპიზარი“
დირექტორის 2019 წლის 13 ივნისის N56 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი” წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

2.1 კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით, შენობასა და ეზოში.

მუხლი 3. დარაჯი

3.1 საშტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას.

3.2. დარაჯის უფლებები და მოვალეობები:

ა) კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;

ბ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთა გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციის ნებართვით;

გ) კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

დ) წესრიგის დარღვევის, ავარიული ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექციის სხვა წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთან შეთანხმებით საგანგებო სიტუაციების ან/და პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების გამოძახების უზრუნველყოფა;

ე) კოლეჯის შენობის დაცვის ოთახში განთავსებული, მასზე მინდობილი ადმინისტრაციის კაბინეტების, ბიბლიოთეკის, არქივის, საკონფერენციო დარბაზის, სხვადასხვა აუდიტორიებისა და სასწავლო სახელოსნოების გასაღებების უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფა;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).